თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს

სხდომის ოქმი

N 9

ქ. თეთრიწყარო 18 სექტემბერი, 2019 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გულიკო შოშიტაშვილი
2. ჯემალ ბორცვაძე
3. ლიანა დემეტრაშვილი
4. ლეილა ხაჭვანი
5. კახა ნადირაძე
6. არნოლდ სტეფანიანი
7. ია არსენიშვილი
8. ნაზი პოილარაშვილი
9. დავით ბაციკაძე
10. გოჩა კაპანაძე

დღის წესრიგი:

1. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს საორგანიზაციო საკითხების განხილვა;
2. ააიპ თეთრიწყაროს განვითარების ფონდის მიერ შემუშავებული საგრანტო წინადადება, რომელიც გულისხმობს სოფელ ასურეთში ადგილობრივი ღვინის წარმოების განვითარების ხელშეწყობა;
3. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობის გადახედვა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ და ახალი წევრების შეთავაზება საბჭოსთვის;
4. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურისა და ქონების მართვის და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ბოლო წლებში განხორციელებული საქმიანობის შიდა აუდიტორული ანგარიშების გამოთხოვა თეთრიწაროს მუნიციპალიტეტის მერიისგან.

განიხილეს: სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს საორგანიზაციო საკითხების განხილვა.

აზრი გამოთქვეს :

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარემ გულიკო შოშიტაშვილმა განიხილა საბჭოს საორგანიზაციო საკითხები და აღნიშნა, რომ მრჩეველთა საბჭოს მნიშვნელოვანი როლი უკავია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საქმიანობაში. მისი აზრით, მნიშვნელოვანია ისიც, რომ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიამ მიიღო ჯილდო მოქალაქეთა ჩართულობის არსებული საუკეთესო

მაგალითისთვის. თავმჯდომარის აზრით, არსებობს კომუნიკაციის პრობლემა მერიასა და სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შორის. კერძოდ, დღევანდელი სხდომისთვის საბჭოს არ ეცნობა დღის წესრიგის თაობაზე, რაც მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

საბჭოს თავმჯომარემ კიდევ ერთხელ შეახსენა საბჭოს წევრებს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს საქმიანობისა და მიზნების თაობაზე. ასევე, საბჭოს წევრები შეთანხმდნენ საბჭოს სხდომის საორგანიზაციო საკითხებზე, მათ შორის განსახილველი საკითხების წინასწარ გაცნობის აუცილებლობაზე.

გულიკო შოშიტაშვილმა მნიშვნელოვან საკითხად დაასახელა საბჭოს უფრო მოქნილად მუშაობის აუცილებლობა.

საბჭოს წევრი კახა ნადირაძე დაეთანხმა საბჭოს თავმჯდომარეს და აღნიშნა, რომ საბჭოს საქმიანობის შესახებ აუცილებელია ინფორმაციის გავრცელება მოსახლეობისთვის (მაგ: ინტერნეტის საშუალებით). ასევე მან ინიციატივა დააყენა საბჭოს მიერ ისეთიგანხორციელებული და განსახორციელებელი პროექტების განხილვის თაობაზე, რომელიც გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სამოქმედო გეგმით/ბიუჯეტით. მნიშვნელოვანია, რომ საბჭოს მხრიდან გაძლიერდეს მისი ფუნქცია - უფრო მეტად განახორციელოს მონიტორინგი და გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები.

დაადგინეს:

ეთხოვოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიას გაითვალისწინოს საბჭოს შენიშვნები და რეკომენდაციები.

განიხილეს:

აიპ თეთრიწყაროს განვითარების ფონდის მიერ შემუშავებული საგრანტო წინადადება, რომელიც გულისხმობს სოფელ ასურეთში ადგილობრივი ღვინის წარმოების განვითარების ხელშეწყობა;

აზრი გამოთქვეს :

აიპ თეთრიწყაროს განვითარების ფონდის დირექტორმა, ლევან ლაბახუამ საბჭოს წევრებს გააცნო აიპ თეთრიწყაროს განვითარების ფონდის მიერ შემუშავებული საგრანტო წინადადება, რომელიც გულისხმობს სოფელ ასურეთში ადგილობრივი ღვინის წარმოების განვითარების ხელშეწყობას. აღნიშნული პროექტი მხარდაჭერილია გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში საქართველოში (UNDP). მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ პროექტის დაწყებამდე პასუხისმგებელმა პირებმა არაერთი კონსულტაცია გაიარეს კომპეტენტურ დაწესებულებებთან. პროექტი მიზნად ითვალისწინებს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ასურეთში სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების აღდგენა და მიტოვებული ვენახების გაშენება, უნიკალური ჯიშის ყურძნის ღვინის წარმოების ხელშეწყობა, ბრენდირება და რეალიზაციაში დახმარება.

პრეზენტაცია აქტიური კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. საბჭოს წევრმა კახა ნადირაძემ აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა აღნიშნულ სოფელში შექმნილიყო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის

ნაკვეთების/ვენახების მესაკუთრეთა კოოპერატივები. მომხსენებელმა იდეის საპასუხოდ აღნიშნა, რომ ეს პროექტი ბიძგს მისცემს ადგილობრივ მოსახლეობას, რომ მოაწესრიგონ ვენახები და მოემზადონ პროდუქციის წარმოებისთვის. პროექტი შექმნის სტანდარტს და მოსახლეობას მისცემს შესაძლებლობას აწარმოონ ორი სახის ღვინო - ასურეთული შალა და ასურეთული თეთრი (რქაწითელი). მსგავსი სტანდარტის პროდუქტი რეალიზებული იქნება საქართველოში და ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ღვინის წარმოება მოხდება ერთ ადგილზე, ხოლო მოსახლეობას ყურძნის ადგილზე მიტანაში პროექტი გაუწევს დახმარებას. პროექტის ფარგლებში მხოლოდ ღვინის ბრენდირება და ბოთლში ჩამოსხმა მოხდება, ხოლო ფერმერს შესაძლებლობა ექნება საკუთარი სურვილით ან/და პროექტის დახმარებით უზრუნველყოს ღვინის რეალიზაცია. აღნიშნული მომსახურება ფერმერისთვის იქნება უფასო.

საბჭოს წევრმა დავით ბაციკაძემ დასვა კითხვა, თუ როგორ უნდა ააღორძინოს მოსახლეობამ მათი ვენახები, მითუმეტეს, როცა დღეის მდგომარეობით უმეტეს მათგანს გაუმართავი ვენახები აქვთ საკუთრებაში. საპასუხოდ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კოოპერატივების ჩამოყალიბება ან სხვა დონორი ორგანიზაციებისგან გრანტის მიღება დაეხმარება ფერმერებს ვენახების აღორძინებაში. ეს პროექტი ხელს შეუწყობს ღვინის წარმოების კულტურის დანერგვას.

ნაზი პოილარაშილის აზრით, პროექტის განხორციელების პირველ წელს მხოლოდ ის ფერმერები მიიღებენ სარგებელს, რომლებსაც კარგად გაშენებული ვენახები აქვთ, ხოლო დანარჩენებს სტიმული შესაძლებელია არ ჰქონდეს ფინანსური პრობლემის გამო, რომ ვენახების გაშენებას ვერ შეძლებენ. აუცილებელია პროექტის ორგანიზატორებმა კონსულტაცია გაიარონ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკონსულტაციო სამსახურთან.

საბჭოს წევრმა ია არსენიშვილმა შენიშვნის სახით თქვა, რომ პროექტში ნახსენები „გერმანული ჯიშის ყურძენი“ არ არის გერმანული, ეს არის ქართული წარმოშობის ჯიში, რომელიც აღდგენილია გერმანელების მიერ სოფელ ასურეთში. ია არსენიშვილმა დახმარება შესთავაზა მომხსენებელს ეტიკეტის დიზაინის შექმნაში.

კახა ნადირაძემ ასევე აღნიშნა, რომ მრჩეველთა საბჭოს მუშაობის ფარგლებში მოსმენილ ყველა სოფლის განვითარებაზე მიმართულ პროექტს შორის აღნიშნული პროექტი საუკეთესოა, თუმცა, მას კიდევ სჭირდება შესწორება. ამასთანავე, აუცილებელია პროექტის ფარგლებში შეიქმნას მოქმედი ვებ-საიტი, რათა ხელი შეეწყოს გერმანიის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის სააგენტოსა და საქართველოს შორის თანამშრომლობას.

დაადგინეს:

საბჭოს წევრებმა მოისმინეს მომხსენებლის პრეზენტაცია. დაადგინეს, რომ პროექტის წარმომდგენს მიეცეს რეკომენდაცია, რომ პროექტი განხორციელდეს იმგვარად, რომ სოფელ ასურეთში ჩამოყალიბდეს კოოპერატივი პროექტით შექმნილი ტექნოლოგიური ხაზის შემდგომ ოპერირებისთვის.

ასევე, პროექტში შეიცვალოს ტერმინი „გერმანული ჯიშის ყურძენი" და მიეთითოს ქართული ჯიშის ყურძენი, რომელც აღდგენილია გერმნელების მიერ.

საბჭომ ერთხმად მოიწონა წარმოდგენილი და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერს მისცა დადებითი რეკომენდაცია.

განიხილეს:

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობის გადახედვა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ და ახალი წევრების შეთავაზება საბჭოსთვის;

დაადგინეს: გადაიხედოს საბჭოს შემადგენლობა და ეთხოვოს მერიას საბჭოს განახლება. ასევე ეთხოვოს მერს, რომ საბჭოს მიეცეს შესაძლებლობა სხდომა გამართოს არასამუშაო დღეებში.

განიხილეს:

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურისა და ქონების მართვის და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ბოლო წლებში განხორციელებული საქმიანობის შიდა აუდიტორული ანგარიშის გამოთხოვის საკითხი თეთრიწაროს მუნიციპალიტეტის მერიისგან.

აზრი გამოთქვეს:

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარემ გულიკო შოშიტაშვლმა საბჭოს წევრებს მოახსენა დებულებით გათვალისწინებული მიზნებიდან გამომდინარე, საქმიანობის უფრო ეფექტურად განხორციელების მიზნით, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიისგან საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურისა და ქონების მართვის და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ბოლო წლებში განხორციელებული საქმიანობის შიდა აუდიტორული ანგარიშების გაცნობის საჭიროების თაობაზე. მან აღნიშნა, რომ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიშები მნიშვნელოვანი ინფორმაცია იქნება საბჭოს წევრებისთვის თავიანთი საქმიანობის უკეთ წარმართვისათვის.

დაადგინეს:

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიისგან წერილობით გამოთხოვილ იქნას შიდა აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგები (შიდა აუდიტის ანგარიში).

საბჭომ დაასრულა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა და გასცა შემდეგი რეკომენდაცია:

1. **მრჩეველთა საბჭოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესთავაზოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიას საქმიანობის ღიად და გამჭვირვალედ წარმართვის მიზნით მრჩეველთა საბჭოს გააცნოს შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიშები.**
2. **თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიამ განაახლოს მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა და საბჭოს შესთავაზოს ახალი წევრები.**
3. **ააიპ თეთრიწყაროს განვითარების ფონდმა მომავალში ხელი შეუწყოს სოფელ ასურეთის მოსახლეობის სტიმულირებას ვენახების გაშენებაში.**

ამით საბჭომ დაასრულა მუშაობა.

სხდომის მდივანი: ჯემალ ბორცვაძე

1. გულიკო შომიტაშვილი
2. ჯემალ ბორცვაძე
3. ლიანა დემეტრაშვილი
4. ლეილა ხაჭვანი
5. კახა ნადირაძე
6. არნოლდ სტეფანიანი
7. ია არსენიშვილი
8. ნაზი პოილარაშვილი
9. დავით ბაციკაძე
10. გოჩა კაპანაძე